თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

საჯარო ბიბლიოთეკის გასაჯაროვებული დაპირისპირების ახალი ტალღა და მხარეები განაჩენის მოლოდინში

დაატოვებინებენ თუ არა ნარგიზა ჩოგოვაძეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტს?

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

№19 (707) 9 - 15 ივნისი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს **www.psnews.ge**-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

რამდენი ავტომობილი ირიცხება ქუთაისის მერიის ბალანსზე და რა თანხა უჯდება ბიუჯეტს მათი შენახვა?

ადგილობრივი თვითმმართველობების კეთილი ნება თუ შსს-ს მიერ „შეწერილი“ მანქანები?

ქუთაისის მერიის ბალანსზე, ჯამში, 84 ავტომანქანა ირიცხება. მათგან ნაწილი მსუბუქია, ნაწილი კი მიკროავტობუსი და სამაშველო სამსახურის მანქანები, რომელთაგანაც ზოგი მუშა მდგომარეობაშია, ზოგიც სპეციალურ სადგომსა და ავტომობილთა ნაგავსაყრელზეა გადაყვანილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქუთაისის მერიის ბალანსზე მყოფი მანქანებიდან, 4 „ტოიოტას“ მარკის ავტომობილი შსს-ს იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს ემსახურება(?). „პაზის“ მარკის ავტომობილით კი საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობა სარგებლობს, როგორც აღმოჩნდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ქუთაისის ხელისუფლებამ ავტომანქანა სოფელ პერევისთვის შეიძინა.

როგორც მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **გელა ვაშაყმაძე** აღნიშნავს, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა გარკვეული რაოდენობის თანხა ავტომობილების შესაძენად, რომლებიც დროებითი ნათხოვრობის ფორმით შსს-ს სამმართველოებს გადაეცემოდათ სამართალდამცავთა მომსახურებისთვის. თუმცა შსს-თვის გაწეული დახმარება ამით არ ამოიწურებოდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მათი კომუნალური გადასახადებიც იფარებოდა.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

ხარაგაულში მაჟორიტარობის ხუთმა კანდიდატმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა

ხარაგაულის რაიონში, ვახანის თემის მაჟორიტარობის კანდიდატებმა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ერთობლივად გამოუცხადეს ბოიკოტი. 5 საარჩევნო სუბიექტის, მათ შორის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელის გადაწყვეტილების მიზეზი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში „ქართული ოცნების“ მიერ დადებული პირობის შეუსრულებლობა გახდა. საქმე ეხება 2012 წლის 18 მაისს ხარაგაულის მკვიდრის, ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის რეინჯერის, მერაბ არევაძის მკვლელობას.

გამოძიება ამ დრომდე არ დასრულებულა, რაც არჩევნების ბოიკოტის მიზეზი გახდა.

მომხდართან დაკავშირებით, 6 ივნისს ბრიფინგი „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის შტაბში გაიმართა.

ვახანში მაჟორიტარობის კანდიდატის ვახტანგ მეგრელიშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს გამოძიება დასრულებული იყო და ეჭვმიტანილები დაკავებული, მაგრამ „ქართული ოცნება“ მათ გამოძიებას არ ენდო, მიუხედავად ამისა, ახალი ხელისუფლების პირობებში ხელახალი გამოძიება არ მომხდარა.

როგორც ქუთაისის მერობის კანდიდატმა გიორგი თევდორაძემ განაცხადა, ხარაგაულის რაიონში, ვახანის თემში ბოიკოტის გამო, არჩევნები ჩაიშალა. თუმცა არაა გამორიცხული, ცესკო-მ შუალედური არჩევნები დანიშნოს.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

თერჯოლაში მართლმადიდებლების და იეჰოვას მოწმეების დაპირისპირება გრძელდება

იხილეთ **მე-2 გვერდზე**

გარდაიცვალა

ოთარ ქანდარია — თვითმყოფადი სტილისა და ნატიფი გემოვნების მხატვარი

იხილეთ **მე-7 ვერდზე**

სკანვორდი — გვ. 7 | კროსვორდი — გვ. 7

PSnews.ge
ISSN 1987-7056

თერჯოლაში მართლმადიდებლების და იეჰოვას მოწმეების დაპირისპირება გრძელდება

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მშენებლობა დაპირისპირების მიზეზი გახდა. ერთმანეთს ადგილობრივი მართლმადიდებლები და იეჰოვას მოწმეები დაუპირისპირდნენ.
როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მუნიციპალიტეტის ცენტრში, ოთხი ძმის ქუჩაზე, დაახლოებით, ერთი კვირის წინ იეჰოვას მოწმეებმა მშენებლობა დაიწყეს. სადაც, მათივე ინფორმაციით, სპეციალური დარბაზი განთავსდება. მშენებლობის წინააღმდეგ გამართულ აქციას სასულიერო პირებიც შეუერთდნენ. მათი განცხადებით, არ დაუშვებენ მსგავსი დარბაზის მშენებლობას, რადგან ის ქრისტიანი მოსახლეობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.
ადგილობრივებმა კი ტერიტორიაზე, სადაც მშენებლობა მიმდინარეობს, რკინის ჯვარი აღმართეს. თუმცა, როგორც თერჯოლელები აღნიშნავენ, მათ მიერ ჯვრის დადგმას იეჰოვას მოწმეები დასცინიან და აცხადებენ, რომ მშენებლობა აუცილებლად გაგრძელდება.
დაპირისპირებაში ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩაერთო. ვინაიდან მშენებლობის ნებართვა თერჯოლის გამგეობამ გასცა, თერჯოლელები პასუხს გამგებლისგან ითხოვენ. მშენებლობის შეწყვეტის მოთხოვნით კი საკრებულოს მიმართეს. ამ დროისთვის მშენებლობა შეჩერებულია.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

რამდენი ავტომობილი ირიცხება ქუთაისის მერიის ბალანსზე და რა თანხა უჯდება ბიუჯეტს მათი შენახვა?

ადგილობრივი თვითმმართველობების კეთილი ნება თუ შსს-ს მიერ „შეწერილი“ მანქანები?

პირველი გვერდიდან

ბოლო ორი წელია, არსებული კანონი გაუქმდა, თუმცა ქუთაისის მერიის მიერ შსს-თვის გადაცემული მანქანებიდან მხოლოდ 5 ოპელის მარკის მანქანა დაბრუნდა, რომელთაგანაც სამი შედარებით კარგ მდგომარეობაშია, ორი კი გადაადგილებისთვის გამოუსადეგარია. არსებული კანონი მანქანების მუშა მდგომარეობაში დაბრუნებას არ ითვალისწინებდა, რის გამოც ავტომობილების შესაკეთებლადაც ხარჯები კვლავ ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა გაიღოს.

ქუთაისის მერიის ბალანსზე ირიცხება სასწრაფო დახმარების ორი მანქანა, რომლებიც არამუშა მდგომარეობაშია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მერიის ბალანსზე მყოფი გასაყიდად გატანილ მანქანებს საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალი ფასი ადევს, რაც მათ გასხვისებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის.

„ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია მანქანებზე ადგენს გასაყიდ ფასს. ეს ფასები მაღალია. ეტყობა, რახან მერიის მანქანაა, დაბალ ფასს ვერ ადებენ. თუმცა შეფასების შემდეგ მერს უფლება აქვა ფასი გაანახევროს, მაგრამ ასე არ ხდება. შესაძლოა, თავს იკავებდნენ ფასების შემცირებისგან, რადგან მანქანის გაყიდვით ბიუჯეტის განიავება არ დააბრალონ,“ — აღნიშნა მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა გელა ვაშაყმაძემ.

მერიის საკუთრებაში არსებული მანქანებიდან 32 ავტომობილი სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის განკარგულებაშია.

ბალანსზე არსებული ავტომობილების შენახვა და საწვავი ბიუჯეტს სოლიდური თანხა უჯდება.

მერიის 2014 წლის ბიუჯეტიდან ავტოტექმომსახურებაზე 100 000 ლარია გათვალისწინებული. წინა წლების მონაცემებთან შედარებით აღნიშნული თანხა შემცირებულია. აღნიშნულ მომსახურებაზე 2012 წელს 149 238 ლარი გამოიყო, 2013 წელს კი 121151, 64 ლარი.

ავტოტექმომსახურებასთან შედარებით გაზრდილია საწვავის შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა. თუკი მერიის თანამშრომლების ტრანსპორტირებისთვის ბიუჯეტი 2012 წელს 323163, 10 ლარს იხდიდა, აღნიშნული ხარჯი 2013 წელს 4044711,24 ლარს შეადგენდა. 2014 წელს კი საწვავის შესყიდვისთვის 490 000 ლარია გამოყოფილი, რაც წინა წელთან შედარებით 85288.76 ლარით მეტია.

მერიის საკუთრებაში არსებული ავტომობილები და საწვავის ხარჯები არაერთხელ გამხდარა ხელისუფლების ოპონენტების განსჯის საგანი. ჯერ კიდევ ოპოზიციაში მყოფი „ქართული ოცნება“ მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას თანხების ხელოვნურად გაზრდაში ადანაშაულებდა და მისი შემცირებისკენ მოუწოდებდა.

თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც ვითარება არ შეცვლილა. გასულ წელს მმართველობის გადაბარების დასაწყისში მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თენგიზ თოფურიძე** აცხადებდა, რომ მერიის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების რაოდენობა უნდა შემცირებულიყო, რადგან მისი ხარჯები ბიუჯეტისთვის მძიმე ტვირთი იყო. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს მერიას არცერთი ავტომობილის პრივატიზაცია არ მოუხდენია.

მერიის ბალანსზე არსებული ავტომობილების რაოდენობა საარჩევნოდაც აქტუალური თემაა. ოპოზიციური პარტიები აღნიშნავენ, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში მხოლოდ 5 ერთეული ავტომობილი დარჩება.

და საერთოდაც, მერიის თანამშრომლებს ველოსიპედით სარგებლობას ურჩევენ.

84 მანქანიდან 12 არამუშა მდგომარეობაშია, 15 დაზიანებული 2 კი — ჩამოსაწერი, თუმცა, ვიდრე მათი გაყიდვა არ მოხდება, თუნდაც ჯართის სახით, მათი რაოდენობა ვერ განულდება და კვლავ მერიის ბალანსზე დარჩება.

მთავრობის დადგენილებით, შესაძლოა, მომავალში საჯარო მოხელეებისთვის ერთი და იგივე მარკის ავტომობილების შეძენა მოხდეს.

ნესტან ჩაგელიშვილი

საჯარო ბიბლიოთეკის გასაჯაროვებული დაპირისპირების ახალი ტალღა და მხარეები განაჩენის მოლოდინში

დაატოვებინებენ თუ არა ნარგიზა ჩოგოვაძეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტს?

გაზეთ „P.S.“-ში, 26 მაისის ნომერში დაბეჭდილ სტატიას, სადაც ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის უნიკალური გამოცემების დაზიანებასა და დაკარგვაზეა საუბარი, ამავე ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორის, მერაბ გვაზავა ვრცელი წერილით ეხმაურება, ჩვენ უცვლელად გთავაზობთ წერილს და აქვე უფლებას ვიტოვებთ ჟურნალისტური ეთიკის დაცვისა და საგაზეთო მასალის დაბალანსების მიზნით ბიბლიოთეკის ყოფილი მმართველის წერილს ამჟამინდელი თანამშრომლების საპასუხო კომენტარები მოვაყოლოთ.

„დიდი ხანია დუმილით ვხვდები, ან სულაც ყურს ვარიდებ ჩემთვის შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და გამოხდომებს, გულისტკივილით ვადევნებ თვალს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გაზეთის უკანასკნელი პუბლიკაცია (ცილისწამება თუ დაუდევრობა, „P.S.“ №17(705) 26 მაისი -1 ივნისი, 2014), მაფიქრებინებს, რომ ვითარება სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უკვე კონტროლს აღარ ექვემდებარება და ნეგატიურმა, დამანგრეველმა ტენდენციებმა შესაძლოა, შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. კონფლიქტი, როგორც იტყვიან ხოლმე, ქუჩაში გადმოიღვარა, გასაჯაროვდა.

თავად განსაჯეთ, როცა საქმე იქამდე მიდის, რომ შიდა საბიბლიოთეკო დავების არბიტრად პროკურატურას მიმართავენ, როცა ვიცე-მერს პირად კონტროლზე ჰყავს საკითხი აყვანილი, მეოთხე ხელისუფლება, შესაძლოა, უძლური აღმოჩნდეს, ასეც მოხდა; ჟურნალისტმა ობიექტური, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო სრული ინფორმაციის მიღება. მას განუცხადეს, რომ ელოდებიან პროკურატურის დასკვნას. შედეგად მივიღეთ პუბლიკაცია, რომელიც მხოლოდ ერთი მხარის ოპოზიციას გამოხატავს.

როგორც საკითხში ჩახედული პირი, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყოფილი ხელმძღვანელი, ჩემს ვალდებულებად მივიჩნევ საზოგადოებას ავუხსნა საქმის რეალური ვითარება.

მანამდე კი საჭიროდ ვთვლი, მკითხველს საკითხის ისტორია გავაცნო.

2011 წლის 7 სექტემბრის „P.S.“-ში დაიბეჭდა ჩემი ინტერვიუ, სადაც „ნაციონალურ“ ხელისუფლებას ვაკრიტიკებდი. დეტალებით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ პირდაპირ ვაცხადებდი, რომ აღმფოთებული ვიყავი ხელისუფლების მოქმედებით. ყველას გვახსოვს „ნაციონალები“ თუ რამდენად ოპერატიულად რეაგირებდნენ საჯარო მოხელეების მიერ გაკეთებულ ამგვარ განცხადებებზე. გაზეთი, ტრადიციულად, ორშაბათ დილით გამოვიდა. სამი საათისათვის მე უკვე მერიაში ვიყავი გამოძახებული და განცხადებაც თანამდებობიდან გადადგომის შესახებ დაწერილი მქონდა.

ამ ფაქტს დიდად არ შევუწუხებივარ და აი, რატომ: ჯერ ერთი, ყველაფერს დასასრული აქვს, მეორეც, მიმაჩნდა, რომ ჩემი მისია უკვე შესრულებული იყო. არასრული ხუთი წლის მანძილზე ჩვენ (მთელმა კოლექტივმა) ბიბლიოთეკა თვისებრივად შევცვალეთ და ორიენტირად თანამედროვე, დასავლური მოდელის ბიბლიოთეკა მოვნიშნეთ. ამ მიმართულებით საკმაო გზა გავიარეთ და ვთვლიდი, რომ უკან მობრუნება უკვე შეუძლებელი იყო (თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება მანამდე ორჯერ ჩემი ნებით დავწერე. პირველად, როცა 7 ნოემბრის მიტინგი დაარბიეს, მეორედ კი მაშინ, როცა ბიბლიოთეკას ფართი გაუყიდეს. ჩემი განცხადებები, მიზეზთა გამო, არ დააკმაყოფილეს).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქალაქის თავები, გიორგი თევდორაძე და ამირან ხვადაგიანი, ჩემს გადადგომას მხარს არ უჭერდნენ, მაგრამ წითელი კომისარი გიგა შუშანია, ამგვარ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. მას არასოდეს ვესიმპათიურებოდი (დიდი მადლობა მას ამისთვის, პირიქით რომ ყოფილიყო, ძალიან შევწუხდებოდი), და, საერთოდაც, ისეთი ცნებები, როგორიცაა წიგნი, ბიბლიოთეკა და საზოგადოდ კულტურა, მას უამურ ჟრჟოლას ჰგვრიდა ხოლმე. თუ პოლიტიკურ კონტექსტსაც გავითვალისწინებთ, ნათელი იყო, რომ არჩევნებამდე ერთი წლით ადრე პრეზენციულად გამათავისუფლეს.

ერთი სიტყვით, რეპრესირებული ხელმძღვანელი გახლავართ. მიუხედავად ამისა, არანაირი მცდელობა არ მქონია, რომელიც სამართლიანობის აღდგენისაკენ იქნებოდა მიმართული. მეტიც, საჯაროდ ვაცხადებ, რომ არასოდეს და არანაირ ვითარებაში სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად არ დავბრუნდები. ეს მათ გასაგონად, ვისაც შეუძლია იფიქროს, რომ პირადი ინტერესები მამოძრავებს.

ახლა კი დავუბრუნდეთ საგაზეთო პუბლიკაციას. დავიწყოთ იმით, რაც თურმე საბიბლიოთეკო საბჭოზე არაერთხელ აღნიშნულა: გვაზავამ და წაქაძემ რეორგანიზაციის პერიოდში 31 პროფესიონალი დაითხოვეს და მათ ადგილზე ნათესავები მოიყვანეს. თუ ტერმინების დაზუსტებით დავიწყებთ, სიტყვა პროფესიონალი უნდა აღნიშნავდეს მუშაკს, რომელსაც მაღალი კვალიფიკაცია აქვს, შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად პროფესიულ დონეზე შესრულებული საქმე უნდა ვიგულისხმოთ. ეს ჯგუფი, რომელიც დღეს ავანსცენაზე დგას (რმა და ინგა გვენტაძეები, მაია მიქაბერიძე, დალი სულაკაძე, ნინო ძოწენიძე) მიიჩნევს, რომ ჩემს დირექტორად დანიშვნამდე საქმე ძალიან კარგად ყოფილა (სადაც ამდენი პროფესიონალია, იქ შეუძლებელია საქმე ცუდად იყოს). მე კი, მოსვლისთანავე სწორედ ეს პროფესიონალები დავითხოვე. კეთილი, მე შემიძლია მათი პროფესიული საქმიანობის შესახებ საზოგადოებას გარკვეული ინფორმაცია მივაწოდო. სამეცნიერო (მაშინდელი საჯარო) ბიბლიოთეკის დირექტორად 2007 წლის 1 თებერვალს დავინიშნე. ახალი ხელმძღვანელი, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა გაეცნოს საბუღალტრო დოკუმენტაციას.

ბუღალტერიის ენა სპეციფიკურია. სწორედ ეს გავიფიქრე, როცა ამ დოკუმენტაციას გავეცანი. სულო ცოდვილო, არასრულფასოვნების განცდაც დამეუფლა, იმიტომ, რომ ვერაფერი გავიგე. ერთადერთი რაც დანამდვილებით დავადგინე, გახლდათ ის, რომ ბიბლიოთეკაში 20 მოძველებული მოდელის (2000-2001 წლების) კომპიუტერი უნდა ყოფილიყო. ფეხდაფეხ შემოვიარე ყველა განყოფილება და მხოლოდ 10 დავთვალე. ცხადია, ამგვარ მემკვიდრეობას ვერ ჩავიბარებდი და მთელი დოკუმენტაცია, სათანადო განცხადებით, საფინანსო პოლიციას გადავუგზავნე. არც საფინანსო პოლიციას აღმოაჩნდა შესაბამისი კომპეტენცია და ორი კვირის ამაო ჯახირის შემდეგ დოკუმენტაცია იმერეთის ექსპერტიზის სამსახურს გადაუგზავნა. სამი თვის შემდეგ მივიღეთ ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ღაღადებდა, რომ ამ დოკუმენტაციაში გარკვევა პრინციპულად შეუძლებელია, და რომ უფლებამოსილნი ვართ საბუღალტრო აღრიცხვიანობა დავიწყოთ ნულიდან. ეს წერილი საქმიან ქაღალდებში უნდა ინახებოდეს. მინდა ამ ჯგუფს ვკითხო: რომელ პროფესიონალიზმზე მელაპარაკებით დაწესებულებაში, სადაც ამგვარი ბუღალტერიაა?!

იმჟამინდელი ქაოსის აღწერა ძალიან გამიჭირდება, მაგრამ რამდენიმე მაგალითს კიდევ მოვიყვან:

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

საჯარო ბიბლიოთეკის გასაჯაროვებული დაპირისპირების ახალი ტალღა და მხარეები განაჩენის მოლოდინში

დაატოვებინებენ თუ არა ნარგიზა ჩოგოვაძეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტს?

მე-2 გვერდიდან

მოვითხოვე ეჩვენებინათ შენობის გეგმა, რათა სრული წარმოდგენა მქონოდა, თუ რა ფართში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. სამი დღის ძებნის შემდეგ გეგმა აღმოაჩინეს. მაგიდაზე გავშალე და სახტად დავრჩი: გეგმის მიხედვით ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა მდებარეობდა ლავრენტი ბერიას ქუჩაზე. თუ კიდევ ვინმეა დარჩენილი, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ მეეჭვება ბევრი მოქალაქე გვყავდეს, ვისაც ეს დრო ემახსოვრება. პროფესიონალებით გაჯერებული საჯარო ბიბლიოთეკა კი სწორედ ამ გეგმით ცხოვრობდა და არსებობდა.

ან იქნებ ის გაგახსენოთ, თუ როგორი სველი წერტილები ჰქონდა ბიბლიოთეკას (ბევრ მკითხველს მოთხოვნილების შეკავება ერჩია იქ შესვლას).

ჩემი დირექტორობის პირველ თვეებში ბიბლიოთეკის მთავარი შემოსასვლელი კარი სიძველისაგან ორჯერ ჩამოვარდა ანჯამებიდან და ღამისთევა მოგვიხდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს საცავის პრობლემა. ეს გახლავთ შვიდსართულიანი შენობა ბრტყელი გადახურვით. ზედა სამ სართულზე წიგნებს ცელოფნები ეფარა, წლების განმავლობაში წვიმის წყალი მეხუთე სართულამდე ჩადიოდა. შენობა გაულესავი იყო და აგურ-აგურ იშლებოდა. მოწვეულმა სპეციალისტებმა გაგვაფრთხილეს, რომ იგი შესაძლოა ჩამონგრეულიყო.

როცა ელექტრონული განყოფილების გამგისაგან მოვითხოვე განმარტება, თუ სად გაქრა კომპიუტერები, მან მიპასუხა, რომ არც არაფერი ჩაუბარებია, შესაბამისად არც არაფერზე აგებს პასუხს. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა განყოფილებას მიღება-ჩაბარების აქტისა და მატერიალური პასუხისმგებლობის გარეშე.

აღარაფერს ვამბობ ბიბლიოთეკაში გამეფებულ ატმოსფეროზე, როცა ყველა განყოფილებიდან ყვირილისა და ჩხუბის ხმა ისმოდა და დაპირისპირებული თანამშრომლები ღამის ფიზიკურად უსწორდებოდნენ ერთმანეთს.

სამსახურიდან გათავისუფლებულმა „პროფესიონალებმა" ათამდე სასამართლო პროცესი გაუმართეს სამეცნიერო ბიბლიოთეკას და ათივე წააგეს. მინდა ვკითხო ამ ჯგუფს, რომელიც წარსულს მისტირის: საბიბლიოთეკო ცხოვრების ერთი სფერო, ერთი უბანი დამისახელეთ, რომელიც მოწესრიგებული იყო და სრულ გარდაქმნას არ საჭიროებდა. რა დაგენანათ და რას მისტირით?!

მკითხველს ბოდიშს ვუხდი გაჭიანურებული ექსკურსებისათვის და კვლავ საგაზეთო პუბლიკაციას დავუბრუნდები. იგი ასე იწყება: „ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის მრავალწლიანი დაპირისპირება ბიბლიოთეკის კედლებს გასცდა. დაძაბულობა, რომელმაც დღეის მდგომარეობით პიკს მიაღწია, 2009 წელს დაიწყო, მაშინ, როდესაც „საბიბლიოთეკო ფონდების უკეთ დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით" პერიოდიკის განყოფილებაში დაცული გამოცემების დიდი ნაწილი (1800-1921 წლების გამოცემები) ახლად შექმნილ, „იშვიათი გამოცემების" განყოფილებას გადაეცა."

არავითარი კონფლიქტი 2009 წელს არ დაწყებულა. არათუ კონფლიქტი, ხმამაღალი სიტყვა, ან ყველაზე მოკრძალებული პრეტენზიაც კი მაია მიქაბერიძეს არ გამოუთქვამს. ცხადია, კარგად ვიცოდი გულში რაც ედო, მაგრამ მიქაბერიძე ბაქტერიის მსგავსად, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ პირობებში იწყებს გააქტიურებას, დუმდა და თავის დროს ელოდა. მთელი კოლექტივი დამემოწმება, რომ ეს სწორედ ასე იყო.

მკითხველს აღარ გადავღლი ვრცელი ციტირებებით და პუბლიკაციის შინაარსს მოკლედ გადმოგცემთ:

უნიკალური განყოფილება შეიქმნა ნაჩქარევად და ზერელედ. გვაზავა იმ დროისათვის მხოლოდ ფორმალურად იყო დირექტორი. წაქაძის ნამდვილი ჩანაფიქრი კი გახლდათ საკუთარი ნათესავებისა და მეგობრების დასაქმება ახალ განყოფილებაში. მიქაბერიძეს გული უთქვამდა უბედურებას, მაგრამ უხმოდ იტანჯებოდა, იმიტომ, რომ გვაზავამ ძალიან მკაცრი ბრძანება გამოსცა. ნაფერები და ნალოლიავები უნიკალური პერიოდული გამოცემები ახალ განყოფილებაში ისე ეყარა, როგორც თევზი უწყლოდ. დარღვეულ იქნა ყველა საბიბლიოთეკო წესი, არ შემდგარა მიღება-ჩაბარების აქტი და არ აღრიცხულა გატანილი ფონდი. წლების განმავლობაში მატერიალურ პასუხისმგებლად გატანილ ფონდზე ოფიციალურად მაია მიქაბერიძე ითვლებოდა. როცა სამართლიანობა აღსდგა და უნიკალური ფონდი პერიოდიკას დაუბრუნდა, აღმოჩნდა, რომ იგი საგანგებოდ დაზიანებული და დაგლეჯილ-დაფლეთილი იყო. მას შემდეგ მიქაბერიძის თვალზე ცრემლი არ გამშრალა, იგი რაქელივით დასტირის უნიკალურ გამოცემებს და ზეცას შეჰღაღადებს შურისძიებას, რაკიღა ამჟამინდელი დირექტორი აგვიანებს რიტა წაქაძის სამართალში მიცემას. ჭეშმარიტად უცნაურ დროში ვცხოვრობთ. ჯერ ეს აბდაუბდა მიმოვიხილოთ, შემდეგ კი გიამბობთ, თუ როგორ და რა მიზნით შეიქმნა უნიკალური განყოფილება. პუბლიკაციის ავტორს, სურვილის შემთხვევაში, ძალიან მარტივად შეეძლო გარკვეულიყო სიმართლეში. რასაკვირველია, გატანილი ფონდი ზედმიწევნით აღირიცხა, სიაც შედგა, გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც რუსუდან კაშია და მაია მიქაბერიძე აწერდნენ ხელს. მატერიალური პასუხიმგებელიც გატანილ ფონდზე, ცხადია, უნიკალური განყოფილების გამგე რუსუდან კაშია გახლდათ. რატომ ენდო ჟურნალისტი სიტყვაზე მაია მიქაბერიძეს და არ მოიძია მიღება-ჩაბარების აქტი თუნდაც დირექტორთან?!

პუბლიკაციის წაკითხვის შემდეგ მკითხველს შეექმნება წარმოდგენა, რომ უნიკალური ფონდი პერიოდიკის განყოფილებაში მოვლილ–დავარცხნილი გახლდათ, უბედურება მას უნიკალურ განყოფილებაში დაატყდა თავს. ვნახოთ, 2006 წელს ჩემს დირექტორად დანიშვნამდე, როგორ აფასებდა „თავისი" ფონდის მდგომარეობას გაზეთ „ქუთაისური ვერსიისათვის" მიცემულ ინტერვიუში მაია მიქაბერიძე:

„ჩვენ ამ პერიოდიკის დარბაზით ვამაყობთ, აქ ისეთი გაზეთებია, სხვაგან არსად რომ არ ინახება. გული შემტკივა უგულისყურობით რომ ნადგურდება... ზოგი პერიოდული ორგანო პირდაპირ იატაკზე გვიწყვია თაროების ნაცვლად."

მასთან საუბრის შემდეგ ჟურნალისტი ასკვნის: საჯარო ბიბლიოთეკის კიდევ ერთი პრობლემა პერიოდიკის განყოფილებაში შექმნილი სიტუაციაა. ამ განყოფილებაში დაცულ ბოლო ორი საუკუნის უნიკალურ პრესას ჭია ჭამს და რესტავრაციას საჭიროებს. უფრო ბოლოდროინდელი პრესა კი ყდის გარეშე იხევა და ნადგურდება.

პერიოდიკის გამგეს რომ უნიკალურ ფონდზე შესტკიოდეს გული, სიხარულით ცა უნდა გახსნოდა, როცა ჩვენ იშვიათი გამოცემები ამ ყოფას გადავარჩინეთ. აი, როგორ გვაყრის თვალში ნაცარს სიმართლისათვის დევნილი და ტანჯული მიქაბერიძე.

ის, რომ უნიკალური გამოცემები ეროვნული საგანძურია და სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უფრო ძვირფასი არაფერი ინახება, გაგიკვირდებათ და, მე და წაქაძემაც ვიცით. სულ ორიოდე დღის დანიშნული ვიყავი, როცა უნიკალური გამოცემების ჩამონათვალი მოვითხოვე. გაირკვა, რომ ამგვარი ჩამონათვალი არ არსებობდა. ძვირფასი წიგნები გაბნეული იყო საცავში, სადაც 800 000-მდე წიგნია. ავისმსურველს ძალიან იოლად შეეძლო მათი სათითაოდ გატანა და ხელის მოთბობა. როგორც შემდეგში გაირკვა, ეს ასეც ხდებოდა. საცავის განყოფილებიდან გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა 140 ცალი რუსული უნიკალური გამოცემა. ჩვენ საქმე დაუყოვნებლივ გადავეცით პოლიციას და მთლიანად გავთავისუფლეთ საცავის განყოფილების შემადგენლობა.

დავრწმუნდი, რომ გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა უნიკალური განყოფილების შექმნა. მოვიძიეთ შესაბამისი ფართი, გავარემონტეთ, აღვჭურვეთ ელექტრონული დაცვით და დავიწყეთ უნიკალური გამოცემების თავმოყრა. ეს პროცესი დღემდე გრძელდება (საზოგადოებისათვის არ იქნება ინტერესმოკლებული იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ საცავში წავაწყდით მეთექვსმეტე საუკუნის ბეჭდურ გამოცემას, სქელტანიან, გერმანიაში დასტამბულ ლათინურ საღვთისმეტყველო წიგნს, რომელიც არანაირი ფორმით არ ყოფილა რეგისტრირებული).

ვისაც საბიბლიოთეკო საქმესთან შეხება ჰქონია, იცის, რომ უნიკალური ფონდის ადგილმონაცვლეობა დასაშვებია ერთადერთ შემთხვევაში: თუ იგი უარესიდან უკეთეს გარემოში გადაგვაქვს.

საქართველოს თითქმის ყველა ბიბლიოთეკის მთავარი უბედურება სოკოვანი დაავადებაა, რომელიც ქაღალდს უჭნდება და აზიანებს. თითოეული წიგნი და გამოცემა სათითაოდ უნდა დამუშავდეს, რისი სახსრებიც ჩვენს ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ. უნიკალურ ფონდთან დაკავშირებით ჩვენ სწორედ ეს გათვლა გვქონდა: დაობებული და სოკოთი დასნებოვნებული საცავებიდან ფონდი ჯანსაღ გარემოში გადაგვქონდა, სადაც მას სპეციალურად ამუშავებდნენ. ზემოთქმულის გათვალისწინებით ჩვენი გადაწყვეტილება უნიკალური განყოფილების შექმნის შესახებ აბსოლუტურად გამართლებული გახლდათ, რაც არაერთხელ აღნიშნა, მოგვიწონა და მოგვილოცა საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ.

პუბლიკაციაში გაკენწლილია ჩემი ბრძანების ფორმა. მართლაც, ასობით ბრძანება მაქვს გამოცემული, მაგრამ ეს ერთადერთია, სადაც მეტისმეტად თვალსაჩინოდ არის განმარტებული, თუ რა მოელის განყოფილების გამგეს (მაია მიქაბერიძეს ვგულისხმობდი), რომელიც ბრძანებას არ შეასრულებს. ბრძანება იმიტომაც არის ბრძანება, რომ მისი შესრულება სავალდებულოა. შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სანქცია თავისთავად იგულისხმება. დაკონკრეტება რაღა საჭიროა? ვაღიარებ, რომ ეს ფორმით განსაკუთრებული (თუმცა სამართლებრივად სავსებით გამართული) ბრძანება მაია მიქაბერიძის ერუდიციის, ინტელექტისა და ზნეობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით დაიწერა. ჟურნალისტს სრული უფლება აქვს, ჩემი განმარტება არადამაკმაყოფილებლად ჩათვალოს, მაგრამ ერთი შეკითხვა მასთან მეც მექნება: დაინტერესდით, ბრძანება, რომელმაც ხუთწლიანი „განსახლების" შემდეგ სამართლიანობა აღადგინა და უნიკალური ფონდი ისევე დაუბრუნა მიქაბერიძეს, როგორც ყირიმი პუტინს, რა ფორმით არის შედგენილი? გინახავთ ეს ბრძანება? ნუ ეცდებით, ამაოდ გაირჯებით და ვერ ნახავთ, ასეთი ბრძანება ბუნებაში არ არსებობს. ზემოთ უნიკალური ფონდის ადგილმონაცვლეობის წესზე ვსაუბრობდით, ცხადია, რომ საკითხი განსაკუთრებით ფაქიზი და საფრთხილოა. ბრძანების ტონს მიწუნებთ, მაგრამ რატომ არაფერს ამბობთ იმის შესახებ, რომ ამჟამინდელმა დირექტორმა ბრძანება საერთოდ არ გამოსცა, მაშინ, როცა მაკულატურის გატანასაც კი წერილობითი ბრძანება სჭირდება?!

მაგრამ ეს არ არის მთავარი უბედურება. დირექტორს, ნარგიზ ჩოგოვაძეს, ძალიან გაუჭირდება იმის ახსნა, თუ რა მიზეზით დააბრუნა უნიკალური ფონდი ჯანსაღი გარემოდან დასნებოვნებულ და სოკოვან საცავში. საიდანაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, ეს პირდაპირი დანაშაულია. რაც შეეხება ნათესავებისა და მეგობრების დანიშვნას. მას შემდეგ, რაც საჯარო ბიბლიოთეკას სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტატუსი მიენიჭა, ჩვენ ყველა საშუალებით ვცდილობდით სამეცნიერო კადრების მოზიდვას, უნიკალური განყოფილება რომ პრიორიტეტულია, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ცხადია,მის ხელმძღვანელს დიდი სიფრთხილით ვარჩევდი.

რუსუდან კაშია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია, წყაროთმცოდნე, იგი 17 წელი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა და ძვირფას ფონდთან ურთიერთობის მაღალი კულტურა და დიდი გამოცდილება დაუგროვდა. რუსუდანი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც ვეძებდი, და მისი ერთადერთი უბედურება, რომ იგი რიტა წაქაძის დეიდაშვილია, ჩემთვის არანაირ დანაშაულს არ წარმოადგენდა. დღეს რუსუდანი სულის სიღრმემდე შეძრული და შეძრწუნებულია, სწორედ იმის დაზიანებაში სდებენ ბრალს, რის მოვლასა და შესწავლასაც მთელი ცხოვრება უძღვნა.

გამოვეხმაურები იმ თეზასაც, რომ მე მხოლოდ ფორმალური დირექტორი ვიყავი. ქვეტექსტი მარტივია: მე დირექტორი კი არა, კონსულტანტიც აღარ ვარ. ჩემი თემა აქტუალური აღარ არის, განვლილი ეტაპი გახლავართ. საოცნებო ანარქიამდე ერთადერთ ბარიერად რიტა წაქაძე ჩანს, ყველაფერი მას უნდა დაბრალდეს (თუმცა გაუგებარია რა). ეს ჯგუფი დაჟინებით მოითხოვს წაქაძის თანამდებობიდან გადადგომას. მიქაბერიძეს თქვენ უკვე იცნობთ, გაგაცნობთ ჯგუფის სხვა წევრებსაც.

როდესაც დირექტორად დავინიშნე, ირმა გვენეტაძე საქალაქო ბიბლიოთეკაში მუშაობდა, ინგა გვენეტაძე კი საჯარო ბიბლიოთეკის რიგითი თანამშრომელი გახლდათ. რიტას რჩევით (მე მათ თითქმის არ ვიცნობდი) ირმა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გადმოვიყვანე, ორივე დები თანამდებობებზე დავნიშნე და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ზრუნვა და ყურადღება არ მომიკლია. ინგა გვენეტაძეს, მისი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, დამლაგებლის შტატი შევუთავსე, თუმცა აუდიტს შეეძლო შემომდავებოდა, მაგრამ ეს რისკი საკუთარ თავზე ავიღე. საბოლოო ჯამში ინგა ჩემზე მაღალ ხელფასს იღებდა.

ირმა გვენეტაძე თურქული ენის სპეციალისტია. ყოველთვის თვალს ვარიდებდი, როცა დარბაზის განყოფილების გამგე, სამუშაო საათებში, თურქულის შესწავლის მსურველთ ამეცადინებდა. დალი სულაკაძე... მაგრამ, მოდით, მეც ადამიანი ვარ, სულაკაძეზე ნუღარ მალაპარაკებთ.

ერთი სიტყვით, საუბარია სულ რამდენიმე ადამიანზე.

რას ითხოვს ეს ჯგუფი?

მაია მიქაბერიძე, გარდა იმისა, რომ თავის ფონდს ითხოვს, ამტკიცებს დაუმტკიცებელს, რომ უნიკალური ფონდი შეგნებულად დააზიანეს უნიკალურ განყოფილებაში, რომ რიტა წაქაძე ციხეში თუ არ წავა, სახლში მაინც უნდა წავიდეს, და რომ გვაზავას ნაფეხურზე ბალახმა არ უნდა იხაროს.

მაგრამ უფრო გლობალურ მოთხოვნებს გვენეტაძეები აყენებენ: სამეცნიერო ბიბლიოთეკას არ სჭირდება ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები (რომელთაც სამეცნიერო სივრცეში უკვე ძალიან მაღალი ავტორიტეტი მოგვიპოვეს და კონფერენციამდე დიდი ხნით ადრე ვიღებთ მონაწილეობის მსურველთა განაცხადებს), არ არის საჭირო სამეცნიერო შრომების ყოველწლიური გამოცემა „წელიწდეული", რომელიც უკვე მეხუთედ გამოდის, არ არის საჭირო რესტავრაციის განყოფილება, რომელიც ნულიდან შეექმნით და ხარისხობრივი მაჩვენებლით უკვე ეროვნული ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილებას უტოლდება.

არ არის საჭირო უნიკალური განყოფილება, არ არის საჭირო ელექტრონული კატალოგის პროგრამა, არ არის საჭირო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო კადრების, პროფესურის მოზიდვა, ხოლო, ვინც უკვე მოვიზიდეთ და მუშაობს, უნდა დატოვონ ბიბლიოთეკა და ა.შ.

მიზეზი? — იკითხავს გაკვირვებული მკითხველი, — რა მიზეზით უნდა გაუქმდეს ამდენი ინოვაციური წამოწყება, რაც ღვთის მადლით უკვე განხორციელებული და ხორცშესხმულია.

მიზეზი ბანალური გახლავთ: ყველაფერ ამაში ბევრი ფული იხარჯება. უმჯობესია ეს თანხები ხელფასების გაზრდას მოხმარდეს. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ხელფასები თანაბრად გაიზრდება. თანამშრომლები ოთხ კატეგორიად დაიყოფიან და სწორედ ეს ჯგუფი გადაწყვეტს, თუ ვის რამდენით უნდა გაეზარდოს ხელფასი.

ქალბატონო ნარგიზ! მხოლოდ უპატრონო ეკლესიას ეპატრონებიან ეშმაკები.

ქართულ კულტურულ სინამდვილეში უკვე კარგა ხანია რომან „დათა თუთაშხიას" გავლენით, დამკვიდრდა ე.წ. სახნოვის ფენომენი, ანუ, როგორც ავტორი ბრძანებს, უნიჭო კაცების პრობლემა. ოდითგანვე ცნობილია, რომ ნიჭი ხელჩაკიდებული უნდა ატარო, უნიჭობა კი თვითონვე იკვლევს გზას. თანამდებობაზე მოხვედრილ უნიჭო ადამიანს (რომელმაც შინაგანად ძალიან კარგად უწყის საკუთარი უნიჭობის შესახებ) მუდმივი განგაშის განცდა აქვს, რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იკითხავენ: ამას აქ რა უნდა? ეს ადამიანები ძილშიაც კი თავდაცვით პოზიციაში დგანან. პრიმიტივის ინსტინქტი უკარნახებთ, რომ თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა და შეტევაზე გადმოდიან. სწორედ უნიჭობა გახლავთ პირველადი იმპულსი, რომელმაც ეს ჯგუფი შეკრა და გააერთიანა.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისი

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიკეთეთ მარკირება

მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები



კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი (ყოველ საარჩევნო ბიულეტენში)

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკო

ცესკოს ცხელი ხაზი: 2510051

ცენტრი

ქუთაისის წყალმომარაგებაში არსებული მდგომარეობა და პრობლემები

დიდი ხანია, არსებობს სერიოზული პრობლემები აბონენტებსა და წყალმომარაგების კომპანიას შორის ურთიერთობის საკითხში

პროექტი „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა", რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი სამოქალაქო აზროვნება +" (დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის მიერ) მიუახლოვდა დასასრულს. განვლილი 10 თვის განმავლობაში პროექტის გუნდის მიერ ჩატარებული სამუშაოები მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

• ჩავატარეთ საინფორმაციო-სადისკუსო შეხვედრები ქუთაისის მართვის ტერიტორიულ ორგანოებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარებთან, გელათის ქუჩის მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ქუთაისის წყალმომარაგების სერვის-ცენტრის წარმომადგენლებთან;

• გავმართეთ კონფერენცია „იმერეთის წყალმომარაგება დღეს და ხვალ", რომლის მიზანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის, მაჟორიტარის ბიუროების და წყალმომარაგების სერვის-ცენტრების წარმომადგენლებს შორის ინფორმაციათა გაცვლა, დისკუსია და მომავლის ხედვის წარმოდგენა საკუთარი წყალმომარაგების შესახებ. ასევე იმერეთის თერთმეტივე მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის წყალმომარაგების საკითხებში ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუტების მონაწილეობის შესაძლებლობათა განხილვა, საბოლოოდ ჩამოყალიბებული საერთო აზრიდან გამომდინარე დეკლარაციის მიღება, გავრცელება და განხორციელების დაწყება;

• გავმართეთ სატელევიზიო გადაცემები ტელეკომპანია „რიონი"-ს მეშვეობით და პირდაპირ ეთერში მაყურებელთა ზარებზე პასუხით, რადიოგადაცემა „ძველი ქალაქი"-ს ეთერით;

• გამოვაქვეყნეთ სტატიები გაზეთ „P.S."-ში („პოსტსკრიპტუმი");

• მუშაობდა ტელეფონის „ცხელი ხაზი" — 24-24-62, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა წყალმომარაგების აბონენტების საკონსულტაციო მომსახურეობა პრობლემურ საკითხებზე;

• ყოველთვიურად ვახორციელებდით ქუთაისში მიმდინარე წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების საექსპერტო და საზოგადოებრივ მონიტორინგს, შესაბამისი ანგარიშების მომზადებით და ზემოქმედების ობიექტებზე მიწოდებით. ასევე წყალმომარაგების აბონენტების თხოვნის შესაბამისად ჩავატარეთ რამდენიმე დათვალიერება მათ საცხოვრებელ ადგილზე მისვლით;

• გამოვეცით ბეჭდვითი საინფორმაციო მასალა (ბუკლეტი, ბროშურა);

• ორჯერ ავიღეთ გელათის ქუჩაზე განთავსებული ბუნებრივი „შოთას წყარო"-ს წყლის სინჯი (ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური). წყლის სინჯების აღება განპირობებული იყო გელათის ქუჩის მოსახლეობის ეჭვით, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მოხდა მათთვის სასმელი წყლის მოწოდების ერთადერთი საშუალების — „შოთას წყარო"-ს დაბინძურება. 2013 წლის დეკემბერში აღებულმა სინჯმა უჩვენა წყლის ხარისხის საკმაოდ სავალალო მდგომარეობა, თუმცა 2014 წელს აღებულმა სინჯმა აჩვენა, რომ წყაროს წყალი დაწმენდილია და არ არის მავნებელი ჯანმრთელობისათვის. საგამოცდო ლაბორატორია „მიკრობიოლოგი"-ს შეფასებით დეკემბერში აღებული სინჯის მაჩვენებლები შეიძლება ახსნილი იყოს იმ პერიოდში არსებული მეტეოროლოგიური პირობებით (თოვლი, ძლიერი წვიმა).

ასევე მონაწილეობას ვიღებდით ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა საინფორმაციო-საკონსულტაციო ყოველთვიურ შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრების მიზანია ქალაქში არსებული წყალმომარაგების პრობლემური საკითხების განხილვა და მათ გადაჭრაზე ზრუნვა.

ჩვენი პროექტის დასაწყისი ვადებში დაემთხვა ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას და მოხდა გარკვეული აქცენტის გადატანა მისი მიმდინარეობის მონიტორინგზე. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის პროექტის დასრულების შემდეგ გაგრძელდება მისი პროგრამის გარკვეული კომპონენტები — წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგი, აბონენტების ადვოკატირება და ტელეფონის „ცხელი ხაზის" მუშაობა.

პროექტის დასკვნითი ნაწილი ასევე დაემთხვა ვადებში ნაკლებად მასშტაბურ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს — რიონჰესის დასახლების წყალმომარაგებით უზრუნველყოფის საკითხს, რომლის პრობლემებზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ „P.S."-ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წინა სტატიაში.

3 მაისს ქუთაისში იმყოფებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელმაც აღნიშნა, რომ ქუთაისში მიმდინარე წყალმომარაგების სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში რიონჰესის დასახლება, სადაც 1600 მოსახლე ცხოვრობს, უახლოეს მომავალში სასმელ წყალს პირველად მიიღებს.

მთავრობის მეთაურმა პროექტზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი უწყებები გააფრთხილა, რომ პროექტის მიმდინარეობას პირადად დააკვირდებოდა და პროექტით გათვალისწინებული ვადების დაცვას მოითხოვს.

2014 წლის საქართველოს მთავრობის №805 განკარგულებით დადგინდა, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ", საკუთარ სახსრებში წარმოქნილი ეკონომიის ფარგლებში, განახორციელოს ქ. ქუთაისში რიონჰესის დასახლების წყალმომარაგების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

2014 წლის 13 მაისს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ქ. ქუთაისში რიონჰესის დასახლების მაგისტრალური მილმდენის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოებზე.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო 8 ფირმამ, საბოლოოდ გაიმარჯვა შპს GM HIDRO-მ. სამუშაოები ითვალისწინებს 4,5 კილომეტრიანი მაგისტრალის მშენებლობას რიონჰესის დასახლებამდე, „მუხნიანი"-ს სატუმბი სადგურიდან მომავალი მაგისტრალზე მიერთებით.

სამუშაოები, სავარაუდოდ, დამთავრდება მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს და მოსახლეობა შეძლებს სასმელი წყლის მიღებას. თავდაპირველად სასმელი წყლის საფასურის გადახდა მოხდება ფიქსირებული (სულადობრივი) გადასახადის შესაბამისად, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოების შემდეგ, რაც გულისხმობს შიდა ქსელის გაკეთებას, მოხდება უკვე ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება.

ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული მტკივნეული და მრავალწლიანი პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს არა მარტო ხელისუფლების, წყალმომარაგებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის აქტიურობის შედეგს, არამედ, პირველ რიგში, ეს შედეგია რიონჰესის მოსახლეობის და მისი ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლების აქტიურობისა და მათი პროცესში ჩართულობისა.

აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი დადებითი ფაქტი — ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობის კონსულტანტ კომპანია „ეპტისა"-ს მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით გადაწყვეტილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების მოწვევა, რათა მათ 2014 წლის ზაფხულში, სამი თვის განმავლობაში, დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას წყალმომარაგების პროექტის, მისი ვადების და მიმდინარეობის, აგრეთვე მიზნებისა და შედეგების შესახებ. მიაწოდოს საზოგადოებას მათთვის საჭირო ინფორმაცია, ჩაატაროს გამოკითხვები და უპასუხოს მათ კითხვებს წყლის უსაფრთხოებისა და ხარისხის, წყლის გონივრულად მოხმარების თუ სხვა საკითხებში.

დაგეგმილი ღონისძიებებიდან გამოვყოფდით შემდეგს:

• მოსახლეობის ინფორმირებულობის კვლევის განხორციელება ქუთაისში, რომლის მიზანია მიმდინარე წყალმომარაგების ქსელის მშენებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა. აგრეთვე გარკვევა, თუ რა ინფორმაციას ფლობს ადგილობრივი მოსახლეობა პროექტის მიზნებზე, ვადებზე, მოსალოდნელ შედეგებზე, წყლის ხარისხზე და მოსახლეობისთვის საინტერესო სხვა თემებზე. ამასთან კვლევის მიზანია მიმდინარე პროექტთან დაკავშირებით ყველაზე აქტუალური საკითხების გამოვლენა, რომლებზეც მოსახლეობას სურს დამატებითი ინფორმაციის მიღება. კვლევაში გათვალისწინებული უნდა იყოს გენდერული საკითხები და ქალი მომხმარებლების პრობლემები.

• „კარდაკარ" კამპანიის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც სარეაბილიტაციო უბნებზე მცხოვრებ მოსახლეობას მიეწოდება ამომწურავი ინფორმაცია პროექტის მიზნების, მიმდინარეობის და შედეგების შესახებ, აგრეთვე დაურიგდებათ ბროშურები და პასუხი გაეცემა მათ კითხვებს.

• ინფორმაციათა გაცვლა პროექტის მიმდინარეობის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან, არასამთავრობო სექტორთან, ადგილობირივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სოციალურ ლიდერებთან თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან.

ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნულ საკითხებში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა გაზრდის პროექტის გამჭვირვალობას და მის ეფექტურობას მოსახლეობის ინფორმირების მხრივ, აგრეთვე მნიშვნელოვნად შეამცირებს პასუხგაუცემელ კითხვებს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. აუცილებელია, რომ მსგავსი აქტივობები არ ატარებდეს მხოლოდ ერთჯერად ხასიათს და ხორციელდებოდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების სრულ პერიოდში.

დასასრულს, სტატიაში მოყვანილი რიგი პოზიტიური ინფორმაციების შემდეგ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის პრობლემები თუ უცნაურობები, რომლებიც თან ახლავს დღევანდელ ქუთაისის წყალმომარაგების საკითხს.

კერძოდ, ქუთაისში ავტოქარხნის მართვის ტერიტორიულ ორგანოს წყალი მიეწოდება 24-საათიან რეჟიმში, რისთვისაც თითოეული აბონენტი, ვისაც აღრიცხვის კვანძი არ გააჩნია, იხდის სულადობის მიხედვით შესაბამისი ტარიფით. იმავე ტარიფით იხდის ქუთაისში, წერეთლის ქუჩაზე მცხოვრები აბონენტი, რომელიც წყალს იღებს 8 საათს დღე-ღამეში და ბერი თევდორეს ქუჩის აბონენტი, რომელიც წყალს იღებს დღე-ღამეში მხოლოდ 4 საათის განმავლობაში. ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციას — ასოციაცია „ასა"-ს, მიმართა ქუთაისში, დავით აღმაშენებლის 125 ნომერში მცხოვრებმა წყალმომარაგების აბონენტმა ბიჭიკო გურულმა, რომელიც იმავე თანხას იხდის ერთ სულზე, მაგრამ მას საერთოდ ვერ აწვდის წყალს ქუთაისის წყალმომარაგების ქსელი. ბატონი ბიჭიკო 3 წელზე მეტია, დადის ყველა ზემოქმედების მქონე ინსტანციაში და აწვდის ინფორმაციას (შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენით) ამის შესახებ, თუმცა...

ეს მაგალითი მხოლოდ ერთია მრავალთაგან, თუმცა ისიც გვაძლევს საშუალებას, დავასკვნათ, რომ უკვე დიდი ხანია, არსებობს სერიოზული პრობლემები აბონენტებისა და წყალმომარაგების კომპანიას შორის ურთიერთობის საკითხში. 2016 წლის 16 მარტისთვის შეპირებულ 24-საათიანი თუ გაუმჯობესებული წყალმომარაგებამდე კი საკმაოდ დიდი დრო რჩება, პრობლემამ კი უკვე მიიღო სისტემური ხასიათი.

ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ და მასთან არსებულმა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა უფრო აქტიურად და ქმედითად იმუშაოს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე და პატიოსნად დაიცვას გადამხდელი წყალმომარაგების აბონენტების კანონიერი უფლებები.

ნებისმიერი ქმედებები წახალისდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზე არ/ვერ განხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა დადგენილი წესების შესაბამისად ყველას მხრიდან, მაკონტროლებელი ორგანოებიდან (ჩვენ შემთხვევაში ეს არის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია), სამოქალაქო საზოგადოებიდან (არასამთავრობო ორგანიზაციების მეთაურობით) და მომხმარებლებიდან. ასეთი პირობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ უფლება-მოვალეობათა შესახებ ინფორმაციათა სრულყოფილად ცოდნის შემთხვევაში. მომსახურეობის ყველა სახეს აქვს, ან უნდა ჰქონდეს, თუ არ აქვს, მომსახურეობის პირობები. წყალმომარაგების შესახებ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ 2008 წლის 26 ნოემბერს მიღებულია დადგენილება №32 „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ". მასში მუხლი 2-ის „ძირითადი პრინციპები" პუნქტი 1 მიმწოდებელს ავალდებულებს, „უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი ხარისხის წყლით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო წყალმომარაგება კანონმდებლობის, ამ წესების და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად". აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინდივიდუალური მრიცხველების დაყენების/შეცვლის დროს, ამიტომ:

1. თქვენი ნებართვის გარეშე არ დააყენებინოთ ან გამოაცვლევინოთ აღრიცხვის კვანძი;

2. აღრიცხვის კვანძის ან მისი რომელიმე ელემენტის გამოცვლამდე კომპანიამ ოფიციალურად უნდა შეგატყობინოთ, თუ რა მიზნით მოხდა მისი გამოცვლა და გასაწევი სამუშაოთა ღირებულება;

3. თუ კვანძი ტექნიკურად გამართულია და ლაბორატორიულმა შემოწმებამ ვერ აღმოაჩინა მისი დაზიანება, თქვენ უფლება გაქვთ, კვანძის ან მისი ელემენტების გამოცვლაზე უარი თქვათ;

4. თუ მომწოდებელმა რაღაც მიზეზით მოითხოვა კვანძის ან მისი ელემენტის გამოცვლა, შეგიძლიათ, შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, დაუშვათ სამუშაოზე მომწოდებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესრულებულ სამუშაოთა დანახარჯების ანაზღაურება დაგეკისრებათ თქვენ.

ამდენად, თითოეულმა წყალმომარაგების აბონენტმა, პირველ რიგში, თვითონ უნდა შექმნას საკუთარი დაცვის სისტემა საკანონმდებლო ბაზის ცოდნით.

პროექტის გუნდი

სტატია მომზადებულია პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში.

ტელ: 24-24-62

წყალმომარაგების ტარიფები

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი (მ^3)	0.4991
სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი (მ^3)	0.4189
წყალარინების ზღვრული ტარიფი (მ^3)	0.0802

გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი (ერთ სულზე/თვეში)	2.3954
სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი (ერთ სულზე/თვეში)	2.0107
წყალარინების ზღვრული ტარიფი (ერთ სულზე/თვეში)	0.3846

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი (მ^3)	4.307
სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი (მ^3)	3.3748
წყალარინების ზღვრული ტარიფი (მ^3)	0.9322

შენიშვნა: სამომხმარებლო ტარიფები გაანგარიშებულია დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

Government of the United States

საჯარო ბიბლიოთეკის გასაჯაროვებული დაპირისპირების ახალი ტალღა და მხარეები განაჩენის მოლოდინში

დაატოვებინებენ თუ არა ნარგიზა ჩოგოვაძეს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის პოსტს?

მე-3 გვერდიდან

როგორც საკითხში ჩახედული კომპეტენტური პირი ვაცხადებ: რიტა წაქაძე ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკათმცოდნეა საქართველოში. ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩემი აზრი, ასევე თვლიან ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

ჩვენში არჩევნები ყველა სხვა მოვლენას ფარავს, მით უფრო ბიბლიოთეკარი ქალების კინკლაობას. როგორც ჩანს, არჩევნების შემდეგ შეიქმნება კომისია, რომელიც მარტივად გაერკვევა სიმართლეში, იმიტომ, რომ ეს ჯგუფი, ცნობილი მიზეზით, რთულსა და ჩახლართულს ვერაფერს მოიფიქრებს. მტყუან-მართალი გაირჩევა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. დარწმუნებული ვარ, უნიჭო ამბოხება უსახელოდ დასრულდება."

მერაბ გვაზავა

გვაზავას ბრალდებებს პერიოდულ გამოცემათა განყოფილების გამგე **მაია მიქაბერიძე** პასუხობს:

„გვაზავას პრეტენზიის გამოთქმა, იცით, რა ამბავს მაგონებს? დედალი ჟირაფის კისერზე დასკუპებულ რწყილს თავი რომ უკვდავი ჰგონია. საერთოდ, არ ღირს მის პასკვილზე, ტყუილებზე აგებულ ამბებზე პასუხის გაცემა, მაგრამ ვალდებულებას ვგრძნობ საზოგადოების წინაშე. გვაზავას, ამ „ინტელექტით" სავსე ადამიანს, ხუთი წელი მოუთმინა ბიბლიოთეკამ, რომლის ე.წ. რეფორმატორობა ტაშ-ფანდურსა და ლოთობაში გამოიხატებოდა. ვიღაცას ხომ უნდა ემართა ბიბლიოთეკა და ეს ვიღაც გახლდათ რიტა წაქაძე. გვაზავა დირექტორობიდან წასვლის შემდეგ 3 წელი კონსულტანტად იყო გაფორმებული და კვირაში 3-ჯერ არ მოდიოდა სამსახურში. რაც შეეხება მის „ეროვნულობას", „ნაციონალებმა" ის ძალოვანების დახმარებით მოიყვანეს ბიბლიოთეკაში და დღეს არც მერაბ გვაზავა და არც წაქაძე არ მალავენ, რომ კაკო ბობოხიძის ხელდასმულები არიან. ამჯერად საქმეს სწავლობს კომისია და დასკვნებს თავად დადებს."

გვაზავას ბრალდებებს უსაფუძვლოდ მიიჩნევს ხარისხის მართვის განყოფილების სპეციალისტი **ინგა გვენეტაძეც**:

„მერაბ გვაზავა ბიბლიოთეკაში აკაკი ბობოხიძის ჩარევით დაინიშნა დირექტორად. ამას არც თვითონ მალავდა. ბობოხიძე დაეხმარა კერძო სკოლის გახსნაში, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა და კარგი შემოსავალიც ჰქონდა. თავადაც მასწავლებლობდა ამ სკოლაში.

როგორც ვიცი, რამდენჯერმე მართლა უნდოდა დირექტორობიდან წასვლა — რაღაც კარგი პროექტი მაქვს უცხოეთში, ქართული სკოლა უნდა გავხსნაო, ახლა ძნელია, გავიხსენო და ვამტკიცო, რა იყო სინამდვილეში მაშინ, მაგრამ ფაქტია, ნარგიზა ჩოგოვაძის ბიბლიოთეკის დირექტორად მოსვლის შემდეგ მერაბ გვაზავა მე-15 საჯარო სკოლის დირექტორად დანიშნეს. ხელისუფლება მისთვის არასასურველ პიროვნებას საჯარო სკოლის დირექტორად დანიშნავდა? რატომღაც იმის თქმაც დაავიწყდა, რომ სკოლის დირექტორობის პარალელურად ბიბლიოთეკაში კონსულტანტის შტატშიც გააფორმეს და დირექტორობისდროინდელი ხელფასიც შეუნარჩუნეს."

საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილ დირექტორს სიცრუეში ადანაშაულებს **ირმა გვენეტაძეც**: „24 წელია, ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. ის, რომ მერაბ გვაზავამ თანამდებობაზე დამნიშნა, სრული სიცრუეა, რადგან უცხოური ლიტერატურის განყოფილების გამგედ ვმუშაობდი მისი წინამორბედის — გოგი შავგულიძის დირექტორობის დროს. როგორც ვიცი, დარბაზის გამგედ ჩემი გადაყვანა მოხდა იმიტომ, რომ ამ თანამდებობაზე უარი თქვა რამდენიმე თანამშრომელმა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩასატარებელი იყო აღწერის რთული პროცესი. იცოდა რა ბატონმა მერაბმა, რომ მის მიმართ ვიყავი კეთილგანწყობილი და თავს არ დავზოგავდი სამსახურისთვის, უბრალოდ, ჩამბარა უფრო რთული სამუშაო, რასაც წარმატებით გავართვი თავი და მისგან მადლობის სიგელიც დავიმსახურე."

ვრცელი წერილის პარალელურად, გაზეთ „**P.S.**"-სთან პირად საუბარში, მერაბ გვაზავა უახლოეს მომავალში ბიბლიოთეკის დირექტორის შეცვლასაც აანონსებს. იგი აცხადებს, რომ ნარგიზა ჩოგოვაძეს თანამშრომლებზე კონტროლის დამყარება უჭირს და მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია.

დირექტორის ამჟამინდელი მოადგილის, **ნინო ძოწენიძის** დაინტერესება უნიკალური ფონდის განადგურება-დაცვის თაობაზე კი იმაში მდგომარეობს, რომ ძოწენიძეს ბიბლიოთეკის დირექტორობისთვის, ხოლო ინგა გვენეტაძეს დირექტორის მოადგილის პოსტისთვის ამზადებენ.

— ქალბატონო ნინო, თქვენს აქტიურობას ამ საკითხთან დაკავშირებით იმით ხსნიან, რომ დირექტორობა გინდათ და სულ მალე ამ თანამდებობას ჩაიბარებთ?

— მართალი გითხრათ, მავანთა ფანტაზიებს საზღვარი არ აქვს. უნიკალური ჟურნალ-გაზეთების ამ მდგომარეობაში ნახვამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, ვალდებული ვიყავი, დამეფიქსირებინა ჩემი პოზიცია, არ ვიცი, როგორ და ვისი მიზეზით დაზიანდა უნიკალური ფონდი, მაგრამ სიმართლე უნდა გაირკვეს. წარმოიდგინეთ, ამ უმძიმეს მდგომარეობაში ოთახში რომ შევყუჟულიყავი იმის შიშით, რომ წაქაძე-გვაზავას არაფერი დაებრალებინა, პირში წყალდაგუბებული ვყოფილიყავი, ეს დაუშვებელია! მართალი გითხრათ, მთელი ცხოვრება თანამდებობებზე ვმუშაობდი და ყელში მაქვს ამოსული. თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას: არ მაქვს დირექტორობის სურვილი და მოქმედი დირექტორის წინააღმდეგ არავითარი შეთქმულება არ მზადდება. ბიბლიოთეკას უკვე ჰყავს კარგი დირექტორი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას თავს მშვენივრად ართმევს.

ეყოლება თუ არა საჯარო ბიბლიოთეკას ახალი დირექტორი, ამას მომავალი აჩვენებს, ასევე მომავალი და სპეციალური კომისიის დასკვნა გადაწყვეტს ბიბლიოთეკის ყოფილ და მოქმედ თანამშრომლებს შორის მრავალწლიან დავას. ამ ეტაპზე საქმის შესწავლა, რომელსაც მერიის აუდიტისა და კონტროლის სამსახური იკვლევს, საარჩევნო პროცესების დასრულებამდე შეჩერებულია.

ეკა შალამბერიძე

ლიტერატურულ კონკურს „მოდინახეს" მინორული და მაჟორული გადახვევები

საქართველოს პოეტთა მხარე გალაქტიონმა უწოდა და არც უსაფუძვლოდ. ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ პერიოდში დაიწყო ქართველმა ერმა საეკლესიო კიმენური ტექსტების მეტაფრასტულად გადამუშავება. მოსაწყენია მშრალი ინფორმაციის მოსმენა ან წაკითხვა, მხატვრული სამკაულები ისევე სჭირდება ადამიანის „სულიერ ყურს", როგორც სუსტი სქესის წარმომადგენლებს უმარილი ან სამშვენისები. მართალია, ახლა, როცა ძალიან გაიაფდა ქაღალდი და ონლაინსივრცე, უჩვეულოდ ბევრი პოეტი და მწერალი „გამოიჩეკა", წიგნების გამოცემაც არ არის ძვირი. თან, თუ ორიოდე მკითხველი ან გადამკითხველი გამოუჩნდა ნაწარმოებს, „შემქმნელს" თავი კლასიკოსი ჰგონია. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია, რომ უთხრა სათქმელი პოეტს ან ვაიპოეტს. მომრავლებული ლიტერატურული ღონისძიებები, რომლებიც ყველა დარბაზსა თუ ოთახში ეწყობა ხოლმე თითქმის ყოველკვირეულად, უფრო ლიტერატურული გემოვნების დეფიციტის მაჩვენებელია, ვიდრე — ხელოვნების პროფიციტის.

მაინც გადავწყვიტე, რომ მომეწყო ლიტერატურული კონკურსი. ყურადღება საჩხერეზე შევაჩერე. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც ჭიათურელი ვარ და სპონსორიც ჭიათურასთან არის კავშირში — „ჯორჯიან ამერიქენ ელოისი". საჩხერეში ამ კონკურსის ჩატარება განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: ჭიათურასთან შედარებით საჩხერე უფრო მდიდარია ლიტერატურული ტრადიციებით; საჩხერიდან იყვნენ წერეთლები, დიდი მუხრანი, პაოლო... და ბოლოს, მანგანუმის სამთომოპოვებითი მრეწველობა აკაკის ინიციატივა იყო. ამიტომ პროექტმა მიიღო ასეთი სახელწოდება: „აკაკი წერეთლის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მოდინახე".

საინფორმაციო მხარდაჭერა ჭიათურის ტელევიზიამ და გაზეთმა „პოსტსკრიპტუმმა" გასწია. ონლაინრეჟიმით ასამდე ფინალისტმა გამოაგზავნა საკონკურსო მასალა, მათგან რამდენიმემ კონკურსის პირობები ვერ დააკმაყოფილა, უმრავლესობიდან კი ათი ფინალური ლექსი უნდა შერჩეულიყო. აქ კი რევაზ ინანიშვილის „მეთოდი" გამოვიყენე. მოსწავლეებს ვუკითხავდი ლექსებს და ვაკვირდებოდი მათ რეაქციას: თუ ბავშვების გულები ისე შეიფრთხიალებდნენ, როგორც ყვავები დამბაჩის ხმაზე, იმ ლექსს ჰქონდა ფინალისკენ გზა გახსნილი.

როცა ფინალური ლექსები შეირჩა, აკაკის სახლ-მუზეუმში გადავწყვიტე პრიზიორთა გამოვლინება, დავურეკე მუზეუმის დირექტორს, რომელმაც გაურკვეველი პასუხები მომცა და გადავიფიქრე... ამის დაწერას არც ვაპირებდი, რომ არა მერე, 31 მაისს, მუზეუმის თანამშრომელთა გაღიზიანებული შეკითხვა: რატომ არ ჩავრთე პროექტში აკაკის სახლ-მუზეუმი! როცა მათ მიიღეს ამაზე პასუხი, გაკვირვებაც არ გამოუხატავთ! მისთვის კი არა, ჩვენთვის უნდა გეთქვაო... მოკლედ, ეს ყველაზე მინორული მონაკვეთი აღმოჩნდა მთელი კონკურსის განმავლობაში.

ძალიან სასიხარულო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ფინალისტთა შორის აღმოჩნდნენ ემიგრანტი პოეტები: რუსუდან გოგბერაშვილი (საბერძნეთი), მზია თვალაბეიშვილი (ბელგია), მანანა ფრუიძე (აშშ). თავად საქართველოში კი, ბათუმიდან თელავამდე განისაზღვრა კონკურსის გეოგრაფია.

წვიმიანი მაისის ბოლო დღე უჩვეულოდ მზიანი იყო. ფონდი „მოდინახის" მცირე ოთახებმა ფინალური ლექსების „გამოსაფენი" მოლბერტებიც დაიტია, ფინალისტებიც, ორგანიზატორებიც და სტუმრებიც. სამწუხაროდ, უცხოეთიდან და ბათუმიდან ფინალისტები ვერ ჩამოვიდნენ. ფინალისტებს დაუფინანსდათ გზის ხარჯები და საოჯახო ტიპის სასტუმროც. ათი ფინალისტიდან მხოლოდ სამმა „წაიღო" ფულადი პრიზები, ხოლო ორმა — ფონდი „მოდინახის" საჩუქარი (ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ა. წერეთლის აკადემიური გამოცემები სიმპატიის აღსანიშნავად დააწესა).

კონკურსის მთავარი მიზანი პოეტების წახალისების გარდა ისიც იყო, რომ როგორმე დარღვეულიყო ღრმა კონკურენციის განცდა და, ვფიქრობ, რომ ეს მოხერხდა. შიში, რომ თავს ფინალისტთა შორის ვინმე შეურაცხყოფილად იგრძნობდა, უსაფუძლო აღმოჩნდა.

ლექსის შეფასება ძალიან რთულია, არ არსებობს ოქროს წესი, რომლითაც იხელმძღვანელებ პოეზიის შეფასებისას. თუმცა არაპრიზიორთა მხრიდან არ ყოფილა პრეტენზიები. ფინალისტებმა წერეთლის სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სავანის ძიძისეული კარმიდამოც ნახეს და პაოლო იაშვილის სახლსაც ეწვივნენ.

7 ათასექსპონატიანი წერეთლის სახლ-მუზეუმის კვალობაზე პაოლოს სახლი ერთობ მოუვლელი ჩანს. მას ნათესავები ჰპატრონობენ შესაძლებლობის ფარგლებში, თუმცა პოეტებმა ესთეტურად აღიქვეს წვიმის წყლით დაღარული კედლები, ნახშირი პაოლოს ბუხრიდან, ღია შუშაბანდი და, რაც მთავარია, ხედი საჩხერისკენ (ნაკლებად მგონია, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ რამდენიმე ათასი გამოჰყოს ვინმემ პაოლოს სახლის სარემონტოდ, არადა, იაშვილი ის კაცი იყო, თავად რომ იკლებდა და სხვას პატივს მაინც სცემდა. სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ ტიციანს მან გადაუხადა ქორწილი და თავად ამ ქორწილში უსაზღვროდ ბედნიერი დაკემსილი შარვლით წარსდგა საზოგადოების წინაშე).

საერთოდ, ვფიქრობ, რომ საჩხერეში რამდენიმე სახლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი უნდა მიენიჭოს, თუმცა ახლა ამის სახსრები ძნელად მოიძებნება... ეგებ ვინმემ ლევან ვასაძეს ან „ქართუს" ხმა მიაწვდინოს, მის მშობლიურ საჩხერეში თუნდაც ბეჟან ბერეთლისა და პაოლოს სახლებს დროზე „წააშველოს ხელი".

როცა პროექტი კეთდება, ავტორი მუდამ ფიქრობს იმაზე, რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება იგი. აქამდე რამდენჯერაც არ მივმართე „ჯორჯიან ამერიქენ ელოისს", დაუნანებლად და სწრაფად დამიდგნენ გვერდში, თუმცა, რამდენჯერ გაგიმართავს ხელს კომერციაზე გათვლილი კომპანია? ან რას ვუკეთებ მე მას, რომ „სურვილები" ამისრულოს ყოველთვის?!

ბუნებრივია, რომ ყველაფერს აქვს საზღვარი (თანაც „ელოისი" „ჩემს ბავშვებს" — ანუ საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის თანხებს დაუნანებლად ხარჯავს). თუმცა, ფინალისტების ნასიამოვნებმა სახეებმა კიდევ გამაბედინა, გამეჟღერებინა: გაისადაც მანგანუმის მრეწველებს უნდა მივაკითხო ჩემი პროექტით. ეგებ და ყოველწლიური გახდეს ეს კონკურსი და ათ პოეტს მაინც გაულამაზდება ხოლმე ცოტა ხნით ერთფეროვნებაში ჩაძირული ყოველდღიურობა.

„სავარაუდოდ, ჩვენ გაისადაც დადებითად გადავწყვეტთ ამ საკითხს, რადგან ამ კონკურსმა გაუძლო მოთხოვნებს, ვხედავთ, რომ ეს არის სოციალური სახის პროექტი, რომელსაც გაგრძელება უნდა ჰქონდეს. მიხარია, რომ საკონკურსოდ ლექსები გამოაგზავნეს აშშ-დან, ბელგიიდან, ირლანდიიდან, საბერძნეთიდან, ესპანეთიდან და ასევე თავად ჩვენი ქვეყნიდან, თუმცა, რატომღაც ჩვენი სამოქმედო ტერიტორიიდან, ზესტაფონიდან და ჭიათურიდან, არ მიიღეს მონაწილეობა. იმედია, რომ ისინი გაისად მაინც ჩაერთვებიან ამ პროექტში და წარმატებებსაც მიაღწევენ", — აღნიშნა „ელოისის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, მაკა კვარაცხელიამ (სამწუხაროდ, ჭიათურიდან მხოლოდ ერთმა გამოაგზავნა საკონკურსო მასალა, თუმცა დაავიწყ და სახელ-გვარისა და საკონტაქტო ტელეფონის მითითება, ინკოგნიტოდ შემოსულ მასალის ავტორს მივწერეთ, რომ დროულად მოეწოდებინა სრულად ინფორმაცია, მაგრამ დაგვიანა).

სამი პრიზიორიდან პირველადგილოსანმა არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო: თავისი კუთვნილი 500 ლარი „ნაბიჯ ჭიათურას" ჩაურიცხა (შშმ პრობლემებზე ორიენტირებული აიპია). მანანა ფრუიძე ამჟამად ფლორიდაში ცხოვრობს და მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებსაც იცნობენ, თუმცა მისი სავიზიტო ლექსი მაინც „ისეთი სიკვდილით მოგიკვდები" გახლავთ და არაერთი დაფარული საამაყო ისტორია აქვს მას ლიტერატურული თვალსაზრისით. მას ანა კალანდაძემ თავის ლიტერატურულ საღამოზე თეთრი მიხაკები აჩუქა (ვინც იცნობდა ანას კონსერვატორულ ბუნებას, ალბათ, ეს ფაქტი სასიამოვნოდ გაუკვირდება). მანანას ასევე იოსებ ნონეშვილმაც დაულოცა პოეტური გზა, თუმცა ამაზე საუბარი არ უყვარს — წარსული დიდებით არ სურს კვეხნა. ორიოდე სიტყვით მადლობა გადაუხადა კონკურსს და თანხის დარიცხვა მოითხოვა „ნაბიჯისათვის", რაც კიდეც შევასრულეთ. მეორე-მესამე ადგილის მფლობელნი ლევან ფანცხავა და მარიამ კოზმანიშვილი აღმოჩნდნენ (წყალტუბოდან და თელავიდან).

ყველა ფინალისტი მოიხიბლა ღამის საჩხერით, მოდინახის ციხიდან დანახული ხედებით და დაჟინებით ითხოვენ, რომ ყოველწლიური გახდეს „მოდინახე". მახსენდება, რომ „შავი ქვის მრეწველთა საბჭომ" თვით კონსტანტინე გამსახურდიასაც კი დაუფინანსა ევროპული განათლება და, იმედია, რომ ათ წელს მაინც „იცოცხლებს" „მოდინახე", რათა ათი წლის თავზე რჩეული ასი ლექსის კრებულიც შევთავაზოთ მკითხველს და „რითმებით მოლაპარაკე ხალხსაც" მცირე ზეიმი მოვუწყოთ ხოლმე მაისის ბოლო შაბათ დღეს ტრადიციულად.

როლანდ ხოჯანაშვილი

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: საქმეში წარმატებები გექნებათ, ასევე გექნებათ შემოქმედებითი წარმატებები. რაც არ უნდა წინააღმდეგობა შეგხვდეთ, შეეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე.

კურო: სამსახურში ძალიან დატვირთული დღეები გელით. ეცადეთ, ენერგია შემოინახოთ, რადგან მოსალოდნელია მოგიწიოთ წვეულებაზე წასვლა, სადაც კარგ დროს გაატარებთ.

ტყუპები: ეს კვირა ერთფეროვანი იქნება, გააკონტროლეთ თქვენი დიეტა. თავისუფალი დრო ოჯახთან ერთად გაატარეთ და გაუხსენით გული თქვენი ოჯახის წევრებს.

კირჩხიბი: დიდი საქმეები გელოდებათ, რომელიც პირად ცხოვრებას მოგწყვეტთ, არ დანებდეთ, თორემ თქვენი ღვაწლი უკვალოდ ჩაივლის სიკეთისათვის.

ლომი: ამ პოზიტიურ პერიოდში თქვენ შეძლებთ გარშემომყოფებთან ურთიერთობების გარკვევას, გადაჭრით მნიშვნელოვან სამსახურებრივ საკითხებს და, რაც მთავარია, ძალიან სწრაფად და ეფექტურად იმოქმედებთ.

ქალწული: თქვენს ცხოვრებაში სიახლის პერიოდი დადგა. კვირის მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურ მუშაობას დაუთმეთ, თავისუფალი დრო კი — საყვარელ ადამიანს.

სასწორი: საშუალება მოგეცემათ, კარიერის კიბეზე რამდენიმე საფეხურით წაიწიოთ. ამიტომ იყავით აქტიური და შრომისმოყვარე. პირად ცხოვრებაში რადიკალურ გადაწყვეტილებებს ერიდეთ.

მორიელი: ეცადეთ, კარგი განწყობა შეინარჩუნოთ, რადგან ეს პირდაპირ აისახება თქვენს კარიერასა და პირად ცხოვრებაზე. პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან.

მშვილდოსანი: იყავით აქტიური, რათა თქვენი გეგმები განახორციელოთ, ვინაიდან წინ საკმაოდ პერსპექტიული დღეები გელით. ცხოვრება ბევრ სასიამოვნო სიურპრიზს გპირდებათ, უარს ნუ იტყვით სასიყვარულო თავგადასავლებზე.

თხის რქა: მიიღეთ სხვებისგან დახმარება და გაეცით იგივე. შესაძლოა, სასიყვარულო ურთიერთობებში რადიკალური გადაწყვეტილების აუცილებლობის წინაშე დადგეთ.

მერწყული: ყოველდღიური მოვალეობა თქვენგან მომატებულ ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ სრულ განტვირთვას ვერ შეძლებთ, ვერც შემოქმედებით თავისუფლებას მიეცემით.

თევზი: არ არის ამორიცხული, დეპრესიაში ჩავარდეთ. ეცადეთ, დამშვიდდეთ და რაც შეიძლება ცივ გონებით იმოქმედოთ. ემოციურობა არაფერს გარგებთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სირიუსი. 5. დიუმა. 6. სპა. 8. ექო. 9. ადენი. 11. ისტერია.
შვეულად: 1. პრიმა. 2. ლუი. 3. სფინქსი. 4. იაპონია. 7. მდორე. 10. ოტო.

ნეკროლოგი

გარდაიცვალა ოთარ ქანდარია — თვითმყოფადი სტილისა და ნატიფი გემოვნების მხატვარი

გამორჩეული ხელოვანი, თვითმყოფადი მხატვარი ოთარ ქანდარია დაიბადა 1937 წლის 8 ივლისს, ქუთაისში, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე. მუშაობდა დაზგურ და წიგნის გრაფიკაში. გამოფენებში მონაწილეობდა 1966 წლიდან (ქუთაისი, თბილისი, მოსკოვი, პარიზი). აქვს გრაფიკული სერია „ქართული ისტორიული ძეგლები“. 2006 წ. გელათის სამონასტრო კომპლექსის დაარსების 900 წლისთავთან დაკავშირებით, ამ სერიის საუკეთესო ნიმუშები გამოვიდა ალბომად, სახელწოდებით „ჟღერს ქვის ჰარმონია“. მისი გაფორმებულია 200-ზე მეტი წიგნი.

ოთარ ქანდარიას ნამუშევრები დაცულია საქართველოს კულტურის სამინისტროს ფონდში, ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში, კერძო კოლექციებში. იგი ეროვნული ფესვებიდან ამოზრდილი, თვითმყოფადი სტილისა და ნატიფი გემოვნების მხატვარია; მისი შემოქმედების ლაიტთემაა კოლხური მოტივები, ქართული ორნამენტი და სხვ.

გაზეთი „P.S.“ და ვებ-პორტალი psnews-ge უთანაგრძნობს ოთარ ქანდარიას ოჯახს დიდი ხელოვანის გარდაცვალების გამო.

თანაგრძნობა

გაზეთი „P.S.“-ის („პოსტსკრიპტუმი“)რედაქცია უთანაგრძნობს კოლეგას, ზვიად ხუჯაძეს ძმის, **იმედა ხუჯაძის** გარდაცვალების გამო

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ
ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
კუპონი უნდა ჩაბარდეს
რედაქციაში – ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ª;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) – წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია
უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ
ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს
სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა
☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი
ტელ: >>
სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)
კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)
ელექტრონული ფოსტის მისამართი
☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები
ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.
09.06.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



ცნობილი მსახიობი **გუჯა ბურდული** ჩვენი გაზეთის ერთგულმა მკითხველმა სულიკო ფუტკარაძემ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

დავით ნარმანია

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გიორგი მარგველაშვილი

კოჰაბიტაციით გაპარტახებული ქვეყნის პრეზიდენტი

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

თარაზულად: 3.ოიდიპოსის დედა და ცოლი. 5. 45 წუთიანი მონაკვეთი ფეხბურთში. 6. სატურნის თანამგზავრი პლანეტა. 8. ინდოეთის გმირი ქალი ლაქშმი .... 9. ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე და მათემატიკოსი ... კარნო. 11. ზამთრის თვე.

შვეულად: 1. ავეჯის სახეობა. 2. ბგერის გრაფიკული გამოსახულება. 3. დიდი მდინარე მიანმაში. 4. ძველად ანისი, ახლა? 7. რუსი ჩოგბურთელი ... საფინი. 10. ანტილოპას სახეობა.



ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-7 საერთაშორისო გამოფენა და ბოკალი, რომელსაც გრაფი რიდელი „საფერავისთვის" შექმნის

6-8 ივნისს, საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია", სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-7 საერთაშორისო გამოფენა — WinExpo Georgia-2014 გაიმართა.

6 ივნისს გამოფენა ოფიციალურად გახსნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში ცნობილი ღვინის მწარმოებელი კომპანიების და მცირე/ოჯახური მარნების პროდუქცია.

დამთვალიერებელს უნიკალური ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა და დაეგემოვნებინა ქართული ღვინოები, სხვადასხვა რეგიონში დამზადებული ქვევრის ღვინო და მათი ნაირსახეობები. გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილი იყო ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ყველიც.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების, ასევე შესაფუთი მასალების, მანქანა-დანადგარების, გადამამუშავებელი ხაზების, მინის ტარისა და საცობების მწარმოებელი თუ დისტრიბუტორი 90-მდე კომპანიამ სხვადასხვა ქვეყნიდან (საქართველო, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი, გერმანია, იტალია, ბულგარეთი, საფრანგეთი, ჩინეთი).

გამოფენის ოფიციალური მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ღვინის ეროვნული სააგენტო, ასოციაცია „ქართული ღვინო".

გამოფენის პარალელურად გაიმართა: სომელიეთა ასოციაციის ჟურნალ „ღვინო"-ს პირველი ნომრის პრეზენტაცია, – კომპანია „რაუშედოს" პრეზენტაცია, საფერავის ღვინის ჭიქის პროტოტიპის შერჩევის ეროვნული სესიის შედეგების გამოცხადება, რასაც



გრაფი გეორგ რიდელი

ღონისძიებას გაუძღვება თავად გეორგ რიდელი გაუძღვა.

გაიმართა ქართული ღვინის მასტერ-კლასი, ღვინის მთავარი სახეობების დაჭაშნიკება, ჩატარდა პრეზენტაცია, რომლის მიზანია ქართველ მეღვინეებს მიეწოდოს ინფორმაცია ფრანგული კომპანია „ბუშერვასლინ"-ის და „ჯითიგრუპის" თანამშრომლობის დაწყების, იმ პროდუქტების და სერვისების შესახებ, რომლებსაც ეს ორი კომპანია შესთავაზებს ქართველ მეღვინეებს.

გამოფენის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება გახლდათ ღვინის საერთაშორისო კონკურსი.

6th International Wine Award A- ღვინის საერთაშორისო კონკურსი, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ოფიციალური პატრონაჟით შედგა.

ჟიურში შედიოდნენ: საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი - ენოლოგების, ცნობილი ღვინის ჟურნალისტებისა და სპეციალისტების შემადგენლობით.

საფერავის ბოკალის შერჩევის ეროვნული სესია თავად გრაფმა რიდელმა წარმართა

თბილისს მსოფლიოს წამყვანი ღვინის ბოკალის მწარმოებელი ავსტრიული კომპანია RIEDEL-ის მეათე თაობის წარმომადგენელი, გრაფი გეორგ რიდელი სტუმრობდა, რომელიც საქართველოს გამორჩეულ მეღვინეებთან, სომელიეებთან და ექსპერტებთან ერთად საფერავის ექსკლუზიურ ღვინის ბოკალს შეარჩევს.

პროექტის მხარდამჭერები არიან: ღვინის ეროვნული სააგენტო, ასოციაცია „ქართული ღვინო", საქართველოს სომელიეთა ასოციაცია და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი". გეორგ რიდელს მასპინძლობა ქართული ღვინის საპატიო ელჩმა, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა გაუწია.

გეორგ რიდელის წარმოებაში საფერავის ღვინის ჭიქის გამოჩენა ქართული ღვინის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და ხაზს უსვამს საფერავის გამორჩეულობას. რიდელის ვიზიტი ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის მასშტაბური მნიშვნელობისაა, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს ქართული ღვინის, კერძოდ, საფერავის ცნობადობის ამაღლებას.

გეორგ რიდელმა ვიზიტის ფარგლებში მასტერ-კლასი გამართა, თავად გაუძღვა საფერავის ექსკლუზიური ღვინის ჭიქის შერჩევის ეროვნულ სესიას.

ავსტრიელი ოსტატის მიერ შექმნილი ღვინის ბოკალით საფერავის დაგემოვნება უკვე უახლოეს რთველზე იქნება შესაძლებელი.

ინფორმაცია რიდელების საგვარეულო ბიზნესზე:

ღვინის აქსესუარებისა და ბოკალების წარმოებაში მსოფლიო ლიდერია 250-წლიანი ისტორიის მქონე ავსტრიული ოჯახის, რიდელის კომპანია. მისი პროდუქცია პლანეტის ყველაზე საუკეთესო რესტორნებში, ახალი ზელანდიიდან ალიასკამდე, №1 ბრენდად ითვლება. ცნობილია, რომ ღვინის ჭიქების გეომეტრიასა თუ ღვინის მოხმარების ფსიქოლოგიაზე წარმოებული მრავალწლიანი ექსპერიმენტების შედეგად, რიდელის კომპანიამ იდეალური ბროლის ბოკალთა კოლექცია შეიმუშავა. რიდელს 16 ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ყურძნის ჯიშისა და რეგიონების ღვინოებისთვის შექმნილი აქვს სპეციალური ბროლის ბოკალი.

დღეს ყველამ იცის, რომელია „პინონუარის", „ბორდოსა" თუ „შარდონეს" ბოკალი.

მალე მსოფლიო გაიგებს, როგორი იქნება ქართული „საფერავის" ბოკალი!

რამდენიმეწლიანი მოლაპარაკების შედეგად, საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, რიდელის კომპანიასთან კონტრაქტი გააფორმა. ამ შეთანხმების შედეგად შეიქმნება „საფერავის" ბოკალი, რომელიც რიდელის კოლექციაში საპატიო, მე-17 ადგილს დაიჭერს.

ეს ისტორიული ფაქტი კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყველაზე ცნობილ რესტორნებში, რიდელების კატალოგის მთავარ კოლექციაში, სომელიეები იხილავენ ქართული ყურძნის ჯიშის, „საფერავის" ბოკალს.

ნატა გულბანი

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge
ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:
• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები
PSpress-კლუბი
მაკინუალი მაზანი „პოსტსაბჭოეთი"
P. S.
ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94